სსიპ ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტო
LEPL STATE AGENCY OF OIL AND GAS

ზ.გამსახურდიას სანაპირო N1, 0114
თბილისი, საქართველო
1 Z.Gamsakhurdia Named Right Bank, 0114 Tbilisi, Georgia;
+995 032 225 33 02/99

152-04-2-202506170933

N 04-152
17/06/2025

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ დიმიტრი ზურაბიშვილს

ბატონო დიმიტრი,

გაცნობებთ, რომ ნავთობის და გაზის XI-Q სალიცენზიო ბლოკზე (ტერიტორიულად მოიცავს თბილისის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, წალკის, თიანეთის, მცხეთისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებს) სახელმწიფოსთან გაფორმებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებებისა და ნავთობისა და გაზის რესურსებით სარგებლობის გენერალური ლიცენზიების საფუძველზე ნავთობის და გაზის ოპერაციებს ახორციელებს „Georgia Oil & Gas Limited-ის ფილიალი საქართველოში“, რომლის დაკვეთით კონსულტანტი კომპანია შპს „გარემოსდაცვითი და შრომის უსაფრთხოების საგანმანათლებლო და საკონსულტაციო ცენტრი-ეკომეტრი“ ამზადებს ზემოაღნიშნული სალიცენზიო ბლოკის მომცველი ტერიტორიის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს“ (გზშ), რომელიც შეიცავს ნავთობისა და გაზის ოპერაციების შედეგად გარემოზე პოტენციური ზემოქმედების ანალიზს.

გიგზავნით „Georgia Oil & Gas Limited-ის ფილიალი საქართველოში“-ს მიერ წარმოდგენილ XI-Q სახელშეკრულებო ფართობთან დაკავშირებული პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სკოპინგის ანგარიშსა (გზშ-ს მომზადების პირველი ეტაპი) და განცხადებას, რომელიც საზოგადოების ინფორმირების მიზნით უნდა განთავსდეს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (მოთხოვნის შემთხვევაში - უზრუნველყოფილი იქნას მათი ნაბეჭდი ეგზემპლარების ან ელექტრონული ვერსიების ხელმისაწვდომობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით).

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვას სააგენტო გეგმავს 2025 წლის 30 ივნისს 14 საათზე, რისთვისაც გთხოვთ, გამოყოთ შესაბამისი ფართი თქვენი ადმინისტრაციული ორგანოს შენობა-ნაგებობაში.

პატივისცემით,

კარლო ზურაბაშვილი

სააგენტოს უფროსის მოადგილე